საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის ქ. №№17, 19-სა და ატენის შესახვევის №16-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის, საინჟინრო–გელოგიური კვლევების შედეგებზე.

დასკანირებულია 22

შპს "მშენებლობის ექსპერტი და მედიატორი"-ს დავალებით 2007 წლის ივლისში, ექსპერტიზა ჩაუტარდა, აღნიშნული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკურ ანგარიშს.

შემოწმდა ერთ წიგნად აკინძული, ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელშიც წარმოდგენილი იყო:

- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა (ტექსტური ნაწილი, ტექნიკური დავალებითა და მიწერილობით) – 14 ფურც;
- გრუნტის სიმკვრივის ნორმატიული და საანგარიშო მახასიათებლების მნიშვნელობების გამოთვლა – 3 ფურც;
- გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობების გამოთვლა – 4ფურც;
- გრუნტის კომპრესიაზე და შეწრაზე გამოცდის შედეგები – 16ფურც;
- გრუნტის ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების ცხრილი – 2ფურც;
- ქვიშაქვების სიმკვრივე და სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე, წყალგაჯერებული მდგომარეობისათვის –1ფურც;
- წყლის 3 სინჯის ქიმიური ანალიზის დასკვნით – 1ფურც.

გრაფიკული დანართები:

- ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა მ1:200 – 1ფურც;
- გამონამუშევრების გეოლოგიური ჭრილები – 1ფურც;
- უბნის გეოლოგიური ჭრილები – 5ფურც.

შემოწმების მიზანი: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარებისა და ტექნიკური ანგარიშის შედგენის დროს, ავტორების მიერ, მოქმედი ნორმებისა და სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინების დადგენა.

შპს "დიზარი +"-ის დაკვეთით საინჟინრო-გეოლოგიური კვლევითი სამუშაოები, 2001 წლის სექტემბერში, ჩაატარა სს " საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, ინჟინერ-გეოლოგის ზ. კვაჭანტირაძის ხელმძღვანელობით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს ადმინისტრაციულ რაიონში, ატენის ქუჩის №№17, 19-სა და ატენის შესახვევის №16-ში.

დასაპროექტებელი შენობა 10 სართულიანია, 2 სარდაფით, მას რუსული ასო "Г"-ს ფორმა აქვს, მისი ზომებია 42X44მ. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00–447,მ-ია, სარდაფის ჩაღრმავება ნულოვანი ნიშნულიდან – 8,0მ-ია (439,0მ). შენობის ტიპი – მონოლითური კარკასი, აგურის ან ბლოკის შევსებით. საძირკვლის საერთო ტიპი: რკინა-ბეტონის ფილა ან ბურღვით–ნაჭდევი ხიმინჯები. დატვირთვა 1მ-ზე – 70ტ. სვეტზე – 500ც.

სამშენებლო მოედნის ფარგლებში, "უგბ-1ეს" დაზგით, სვეტური ბურღვის მეთოდით (d=160მმ-მდე), მშრალი წესით, გაიბურღა 4 ჭაბურღილი №№1,2,4 სიღრმით 15,0 – 21,0მ, ხოლო ატენის ქუჩაზე მდებარე 3 სართულიანი სახლის, საძირკვლის ჩაღრმავებისა და ზომების დასადგენად, გაითხარა შურფი, სიღრმით – 2,5მ, რომელიც შემდეგ ჩაიბურღა 20,5მ-მდე.

კვლევითი გამონამუშევრების სიღრმე, განპირობებული იყო, ძირითადი ქანების წოლის სიღრმით. მათი მფარავი ტბიური თიხოვანი გრუნტების, ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად, ჭაბურღილებიდან 3,0 – 17,0მ სიღრმის ფარგლებში, აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 23 ნიმუში, ასევე აღებულია ძირითადი ქანების ნიმუშები და გრუნტის წყლის 3 სინჯი.

გამონამუშევრების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა შეასრულა ტოპოგრაფმა –მ. მამუკაშვილმა.

გეომორფოლოგიურად, სამშენებლო უბანი წარმოადგენს ე.წ. "ვაკის ტერასის" ნაწილს. აბსოლუტური ნიშნულებით 446,0 – 453,0მ-მდე.

მის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა ეოცენის ქვიშაქვებისა და არგილიტების შრეების მორიგეობა (P_2^3) და მათი მფარავი ტბიური თიხები (lQ), დელივიური თიხები (dQ_{IV}) და ტექნოლოგიური გრუნტები (tQ_{IV}).

ტბიური ნალექები დაფარულია 0,4 – 0,9მ. სიმძლავრის მეოთხეული ასაკის თიხნარებით (ფენა 2) და 0,5 – 2,5მ-ის ნაყარი გრუნტით – კენჭნარით, ღორღით, სამშენებლო ნაგვით, თიხნართან ნარევით (ფენა -1) ტექნოგენური ნაყარის, მეოთხეული დელივიურ-პროლივიური და ტბიური ნალექების ქვეშ გავრცელებულია ძირითადი კლდოვანი ქანები, ფენა №4 და №5.

უბნის ამგებ გრუნტებში სამშენებლო თვისებების მიხედვით გამოყოფილია 3 სგე.

I სგე – ტბიური გენეზისის გრუნტები (თიხები ფენა 3 და 3')
II სგე – ძლიერი გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 4)
III სგე – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები (ფენა 5)

სამშენებლო ტერიტორიაზე ძირითადი ქანები წარმოდგენილია ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით.

გრუნტის წყალი გამოვლენილია ყველა ჭაბურღილში ტბიურ თიხოვან ფენაში, მიწის ზედაპირიდან 10,0 – 16,0მ. სიღრმეზე.

გრუნტებისა და გრუნტის წყლის ლაბორატორიული კვლევების შედეგები თან ერთვის ანგარიშს.

გამოკვლეული წყალი, გარემო კონსტრუქციების მიმართ, ამჟღავნებს სულფატურ აგრესიულობას.

ავტორები, სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, შენობის დაფუძნების ორ ვარიანტს სთავაზობენ, მათ შორისაა:
ა) საძირკვლის ფუძე გრუნტად გამოყენებულ იქნას ტბიური გენეზისის თიხოვანი გრუნტები – I-სგე (ფენა №3);
ბ) ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანები – III – სგე (ფენა 5).

I სგე-ზე დაფუძნების შემთხვევაში საძირკვლის ტიპი – ფილაა შემოთავაზებული.

III სგე-ზე ფუძედ იქნება ძირითადი კლდოვანი ქანი, საძირკვლის ტიპი – –ბურღვით–ნატენი ხიმინჯებია.

საექსპერტოდ წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე და პასუხობს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, ასევე სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ შემჩნეული ხარვეზები, პრინციპული ხასიათის არ ატარებენ და ტექნიკური ანგარიშის ხარისხზე გავლენას არ ახდენენ.

დასკვნა

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის ქ. №№17, 19-სა და ატენის შესახვევის №16-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, ჩატარებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით და მას რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

დასკანირებულია 22

ექსპერტი ინჟინერ-გეოლოგი
მშენებლობის დარგში გ. ჩიქოვანი